აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2008 წლის ჯანმთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური და სოციალური დაცვის პროგრამების 12 თვის შესრულების ანგარიში

ქ. ბათუმი
5 იანვარი, 2009 წელი

2007 წლის 24 დეკემბერს დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი, (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ №281 უ.ს.რ.ს.), რომლის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2008 წლის 10 იანვრის №1 განკარგულებით დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2008 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური და სოციალური დაცვის პროგრამები, რომელთა ბიუჯეტი შეადგენდა 1 677 346 ლარს.

ა). ამბულატორიული დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი – 622 110 ლარი):

ა.ა.)სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 500 000 ლარი.

ა.ბ.) ამბულატორიული დახმარების პროგრამაში მონაწილე ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი (მაღალმთიანი რაიონები) – 122 110

ბ). სტაციონარული დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი – 821 586 ლარი):

ბ.ა.) რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი – 700 000 ლარი.

ბ.ბ.) ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი – 121 586 ლარი

გ). ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა:

გ.ა.) ახალგაზრდა ექიმ სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი – 13 800 ლარი.

დ). სოციალური დახმარების პროგრამა:

დ.ა) 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი – 24 000 ლარი.

ე) სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამა:

ე.ა.) სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 195 850 ლარი.

განკარგულებით განსაზღვრული იყო დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამების ამოქმედება 2008 წლის 1 იანვრიდან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2008 წლის 20 მარტის №24 განკარგულებით დამტკიცებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური და სოციალური დაცვის პროგრამების შემდეგი კომპონენტები:

ა). სტაციონარული დახმარების პროგრამის უმწეოთა სამედიცინო დახმარების (დაზღვევის) კომპონენტი – 1 080 000 ლარი

ბ). სოციალური დახმარების პროგრამის მარტოხელა დედებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი დახმარების კომპონენტი – 96 375 ლარი

გ). შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა:

– სმენადაქვეითებულთათვის სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი – 200 250 ლარი.

განკარგულებით განსაზღვრული იყო დამტკიცებული კომპონენტების ამოქმედება 2008 წლის 20 მარტიდან.

ბიუჯეტის I ცვლილება

ა) ბიუჯეტის შემცირება

2008 წლის 18 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№281 უ.ს.რ.ს.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2008 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური და სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი შემცირდა 10 729 ლარით, მათ შორის:

1. ამბულატორიული დახმარების პროგრამაში მონაწილე ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი (მაღალმთიანი რაიონები) – 2 994 ლარით.

კომპონენტი ითვალისწინებდა მაღალმთიანი რაიონების სოფლის საექიმო ამბულატორიებისა (33 ექიმი) და რაიონული პოლიკლინიკების ექიმების, რომლებიც უბნობრივი პრინციპით ემსახურებიან რაიონული ცენტრების მიმდებარე სოფლის მოსახლეობას (9 ექიმი), სულ 42 ოჯახის ექიმისა და ზოგადი პროფილის ექიმის შრომის ანაზღაურებას ბანკის მომსახურეობის ხარჯების ჩათვლით.

მაღალმთიანი რაიონების ამბულატორიებში სამედიცინო ბრიგადების რაოდენობა (მათ შორის ექიმები) გათვლილია “მოსახლეობის (მ/შ მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის) ამბულატორიული დახმარების” კომპონენტით დადგენილი ნორმატივებით.

2008 წლის მარტის თვის მდგომარეობით კომპონენტის შესრულებაში ჩართული იყო 37 ექიმი, მათ შორის 28 – საექიმო ამბულატორიებსა და 9 რაიონის ცენრში. არსებული 5 ვაკანტური ადგილის გამო 2 თვის განმავლობაში წარმოიქმნა ეკონომია 2 706 (270*5*2 = 2 700 – ხელფასი + 6,00 – ბანკის პროცენტი) ლარის ოდენობით.

კომპონენტით ხარჯი ბანკის მომსახურებისათვის (0,5 %) შეადგენდა 610 ლარს, ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპონენტში მონაწილე დაწესებულებისათვის გათვალისწინებული იქნა ის მომსახურების %, რასაც მომსახურე ბანკები სთავაზობდა აღნიშნულ დაწესებულებებს, რაც საერთო ჯამში შეადგენდა 322 ლარს, ეკონომიამ შეადგინა – 288 ლარი.

სულ 2 თვის მონაცემებით ეკონომიამ შეადგინა 2 994 ლარი, რაც ექვემდებარებოდა შემცირებას.

2. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 7 735 ლარით.

კომპონენტი ითვალისწინებდა 226 ფერშლის (მედდის) შრომის ანაზღაურებას ბანკის მომსახურეობის ხარჯების ჩათვლით და სოფლის მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

თემის სამედიცინო პუნქტების პირველადი დანიშნულების მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის მომწოდებლის გამოსავლენად გამართულ ფასთა კოტირებაში გამარჯვებულმა დაწესებულებამ კომპონენტით გათვალისწინებულზე 6 646 ლარით ნაკლებ ფასად შემოგვთავაზა მედიკამენტების სრული პაკეტის მოწოდება.

კომპონენტით ხარჯი ბანკის მომსახურებისათვის შეადგენდა 1 630 ლარს, ხელშეკრულების გაფორმების დროს ბანკის მომსახურების ხარჯი შემცირდა 968 ლარით.

დროებით შეჩერებული იყო ხელვაჩაურის რაიონის სამედიცინო პუნქტში დასაქმებული 1 მედდის საქმიანობა, შრომის ანაზღაურებაზე ეკონომიამ 2 თვის განმავლობაში შეადგინა 121 ლარი.

სულ 2 თვის მონაცემებით ეკონომიამ შეადგინა 7 735 ლარი, რაც ექვემდებარებოდა შემცირებას.

ბ) ბიუჯეტის ზრდა

შეზღუდული სტატუსის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა:

სმენადაქვეითებულთათვის სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი – 200 250 ლარი.

პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტის ამოქმედება აქტუალური გახდა შეზღუდული სტატუსის მქონე პირების სმენადაქვეითებული მოქალაქეების მაღალი მომართვიანობის გამო, რომლებიც ეკონომიური მდგომარეობის გამო ვერ იძენენ მათთვის სამედიცინო ჩვენებით საჭირო სმენის აპარატებს.

პროგრამა მოქმედებდა 2004-2006 წლებში. ამ პერიოდში სმენის აპარატებით უზრუნველყოფილი იქნა 641 მოქალაქე. 2007 წელს სამინისტროს მონაცემებით სამედიცინო ჩვენებით სმენის აპარატებს საჭიროებდა 500-ზე მეტი მოქალაქე, „ფედერალური“ პროგრამით კი წლის განმავლობაში დააკმაყოფილეს მხოლოდ 42 მოქალაქე.

სმენადაქვეითებული მოქალაქეების საზოგადოებაში ინტეგრირების, მათთვის სრულფასოვანი ცხოვრების გარემოს შექმნის მიზნით, პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 450 სმენის აპარატის შეძენისათვის, რისთვისაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2008 წლის ბიუჯეტის კანონში ცვლილების განხორციელების შემდეგ სმენადაქვეითებულთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტისათვის გამოყოფილი იქნა 200 250 ლარი.

II ცვლილება

2008 წლის 2 ივლისის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№302 უ.ს.რ.ს.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2008 წლის ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ:

ბიუჯეტის შემცირება

1. ამბულატორიული დახმარების პროგრამაში მონაწილე ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი (მაღალმთიანი რაიონები) – 4 059 ლარით.

კომპონენტი ითვალისწინებდა მარალმთიანი სოფლის საექიმო ამბულატორიებსა (33 ექიმი) და რაიონის ცენტრში (9 ექიმი) დასაქმებული 42 ექიმის შრომის ანაზღაურებას ბანკის პროცენტის ჩათვლით.

მაღალმთიანი რაიონების ამბულატორიებში სამედიცინო ბრიგადების რაოდენობა (მათ შორის ექიმები) გათვლილი იყო "მოსახლეობის (მ/შ მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის) ამბულატორიული დახმარების" კომპონენტის შესაბამისად მსოფლიო ბანკის ექსპერტების უშუალო მონაწილეობით.

კომპონენტში ჩართული იყო 37 ექიმი, მათ შორის 28 – საექიმო ამბულატორიებსა და 9 რაიონის ცენტრში. არსებულმა ვაკანსიებმა განაპირობა ეკონიმიის წარმოშობა.

ხულოს რაიონის სოფლების რთულმა რელიეფულმა განლაგებამ წარმოქმნა აუცილებლობა კომპონენტში ერთი ექიმის დასამატებლად რაიონული პოლიკლინიკისათვის, მიმდებარე სოფლების მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით კომპონენტზე დასამატებელმა თანხამ ბანკის მომსახურებიუს პროცენტის ჩათვლით შეადგინა 811 ლარი, აღნიშნულისა და ზემოთ განხილული ეკონომიის გათვალიწინებით კომპონენტის ბიუჯეტი ექვემდებარებოდა 4 059 ლარით შემცირებას.

2. უმწეოთა სამედიცინო დახმარების (დაზღვევის) კომპონენტი – 468 000 ლარი.

ეკონომიის წარმოქმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბიუჯეტით კომპონენტისათვის გათვალისწინებული იყო 1 440 000 ლარი, ხოლო ტენდერში გამარჯვებულმა კოპანიამ კი კომპონენტის განხორციელება შემოგვთავაზე 972 000 ლარად.

3. 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი – 2 100 ლარით.

კომპონენტი ითვალისწინებდა რეგიონში მცხოვრებ 80 ას წელს გადაცილებულ უხუცესებზე 300 ლარის ოდენობით ერთჯერად დახმარების გაცემას აპრილის თვეში.

თანხის გაცემის პერიოდისთვის კომპონენტით მოსარგებლე პირთა რიცხვმა, ბუნებრივი მოძრაობის გამო შეადგინა 73, რამაც წარმოქმნა ეკონომია 2 100 ლარის ოდენობით.

ბ) ბიუჯეტის ზრდა

4. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 100 000 ლარი.

კომპონენტი ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის იმ სამედიცინო მომსახურების მიწოდებასა და დაფინანსებას, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო და ადგილობრივი სამედიცინო პროგრამებით. მისი

მიზანი იყო სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნება.

კომპონენტის ბიუჯეტი 2008 წლისათვის განსაზღვრული იყო 500 000 ლარის ოდენობით. 2008 წლის პირველ ნახევარში კომპონენტით ისარგებლა 266 პაციენტმა და მათი მკურნალობის დაფინანსებისათვის გაწეულია 400 000 ლარამდე ხარჯი.

ადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე 2008 წლის მარტ, აპრილ, მაისის თვეებში მოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 270 000 ლარი, აღნიშნული თანხით სამედიცინო მომსახურება მიიღო 230-ზე მეტმა პაციენტმა.

6 თვის მდგომარეობით სამინისტროში შემოსული იყო 100-ზე მეტი განცხადება, აქედან 41 კომპონენტის ბენეფიციარი იყო, სადაც ითხოვენ თანადგომას მათთვის საჭირო მკურნალობის დაფინანსებაში, მხოლოდ ბენეფიციარებისათვის საჭირო თანხა 40 000 ლარს აჭარბებდა. აღნიშნული დინამიკის გათვალისწინებით, წლის ბოლომდე სოციალურად დაუცველი ადამიანების (მათ შორის დიალიზით მკურნალობაზე მყოფი 16 პაციენტის მკურნალობისათვის) სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად დამატებით საჭირო იქნებოდა 100 000 ლარი.

5. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 68 877 ლარით.

კომპონენტი ითვალისწინებდა 226 ფერშლის შრომის ანაზღაურებას ბანკის პროცენტის ჩათვლით და სოფლის მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

თემის სამედიცინო პუნქტების რაოდენობა, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიწოდების მიზნით საჭირო იყო გაზრდილიყო 2 ერთეულით, აქედან ერთი ქობულეთის რაიონში, მეორე ქედის რაიონში, შესაბამისად გაიზრდება თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა – 2 ერთეულით.

თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება მოქმედი კომპონენტით განსაზღვრული იყო 60 ლარის ოდენობით. თემის სამედიცინო პუნქტების სამუშაოს მოცულობისა და დატვირთვის გაზრდასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან წესრიგში დადგა დასაქმებული

სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაზრდის საკითხი (135 ლარამდე). შესაბამისად კომპონენტის ბიუჯეტი საჭიროებდა გაზრდას 68 877 ლარით.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დროებით შეჩერებული იყო ხელვაჩაურის რაიონის ერთი-ერთი სამედიცინო პუნქტის მედდის საქმიანობა, რის შედეგადაც წარმოქმნილმა ეკონომიამ იმ პერიოდისათვის შეადგინა 181 ლარი, რაც გათვალისწინებულ იქნა კომპონენტის ბიუჯეტზე დასამატებელ თანხაში.

6. სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის თანადაფინანსების პროგრამა – 39 000 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის №62 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლად პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომსახურეობის მიმწოდებელ 13 ექიმს, რომლებიც არ არიან დასაქმებული ახლად რეაბილიტირებულ/აღჭურვილ საექიმო ამბულატორიებში სოციალური დახმარების სახით გადაეცა 2000-2000 ლარი შენობის რეაბილიტაციისათვის. პროგრამის ფარგლებში, სსიპ „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ ასევე შეძენილი და პროგრამის ბენეფიციარებზე გადაცემული იქნა საექიმო ამბულატორიის სტანდარტული სამედიცინო აღჭურვილობა და საოფისე ინვენტარი საერთო ღირებულებით 4 800 ლარი.

გამოყოფილი სოციალური დახმარების მოცულობით შეუძლებელი იყო საექიმო ამბულატორიების სრული რეაბილიტაცია. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამატებითი სახსრების გამოყოფა არ შეეძლო. გამოყოფილი სახსრების რაციონალურად გამოყენების და 9 საექიმო ამბულატორიის დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრების მიზნით საჭირო იქ დასაქმებულ 13 ექიმისათვის დამატებით თანხის გამოყოფა თითოეულზე 3 000 ლარის ოდენობით, სულ 39 000 ლარი.

7. თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა 178 000 ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების სოფლის დასახლებულ ადგილებში მოქმედებს თემის სამედიცინო პუნქტი. მათი არსებობა და ფუნქციონირება განპირობებულია სოფლების გეოგრაფიული მდებარეობითა და

კლიმატური პირობებით. თემის სამედიცინო პუნტების მედდები ადგილებზე უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ, უწყვეტი ექიმამდელი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, რაც არსებულ პირველადი ჯანდაცვის სისტემის ერთერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ათეული წლების განმავლობაში თემის სამედიცინო პუნქტები მოკლებული იყო მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას, რის გამოც მათი მატერიალური ბაზა, მცირე გამონაკლისის გარდა, გაჩანაგდა ან იმდენად ამორტიზირებულია, რომ მათი ფუნქციონირება შეუძლებელი იყო. არ ჰქონდა ელემენტარული აღჭურვილობა.

2008 წელს არსებული 177 თემის სამედიცინო პუნქტიდან პირველ ეტაპზე შესაბამისი სამედიცინო ინვენტარით აღიჭურვა 52, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 50 თემის სამედიცინო პუქტს. პროექტის ღირებულება შეადგენდა 178 000 ლარს.

ბიუჯეტის III ცვლილება

2008 წლის 8 აგვისტოსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№306 უ.ს.რ.ს.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2008 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური და სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი გაიზარდა 200 000 ლარით:

4. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 200 000 ლარი.

2008 წლის მესამე კვარტალში გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნა სხვადასხვა სახის მკურნალობის დაფინანსებასთან დაკავშირებით. ივლისის თვისათვის სამინისტროში შემოსული იყო 104 მოქალაქის განცხადება, მკურნალობის დაფინანსებისათვის საჭირო თანხა შეადგენდა დაახლოებით 112 000 ლარს. გარდა ამისა, აუცილებელი იყო ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის კომპონენტის ფარგლებს გარეთ დარჩენილი 23 პაციენტის ჰემოდიალიზის სეანსების დაფინანსება, ვინაიდან დიალიზის სეანსების შეწყვეტა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ამ პაციენტების ჯანმრთელობას. (ერთი პაციენტის დიალიზის სეანსების დაფინანსებისათვის საჭირო იყო თვეში 1 070 ლარი).

აღნიშნული დინამიკის გათვალისწინებით, წლის ბოლომდე სოციალურად დაუცველი ადამიანების (მათ შორის დიალიზით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მკურნალობისათვის) სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად დამატებით საჭირო იყო 200 000 ლარი.

ბიუჯეტის IV ცვლილება

2008 წლის 23 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№16 უ.ს.რ.ს.) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2008 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჯანმრთელობის დაცვის, ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების, სამედიცინო-პროფილაქტიკური და სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი შემცირდა 23 183 ლარით, კერძოდ:

ა) ამბულატორიული დახმარების პროგრამაში მონაწილე ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი (მაღალმთიანი რაიონები) – 16 393 ლარით, რაც გამოიწვია წლის სხვადსხვა პერიოდში 9 ექიმ სპეციალისტის ვაკანსიის არსებობამ.

ბ) უმწეოთა სამედიცინო დახმარების (დაზღვევის) კომპონეტი – 6 790 ლარით.

კომპონენტი გათვლილი იყო 50 000 ბენეფიციარის დაზღვევისთვის, ერთი ბენეფიციარის ყოვეთვიური სადაზღვევო პრემია (შენატანი) შეადგენდა 2,43 ლარს. სატენდერო პროცედურების დასრულებისათვის ს.ს.ი.პ. „სოციალური სუფსიდიების სააგენტოს” მონაცემებით ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 48 609 პირს, რომლებიც ჩათული იქნენ პროგრამაში 2008 წლის 1 მაისიდან. სააგენტოს მიერ დამატებით 1 389 ბენეფიციარის სია მოწოდებული იქნა ივნისის თვეში და ისინი პროგრამაში ჩართული იქნა 1 ივლისიდან.

დამატებით ჩართული ბენეფიციარების ორი თვისა და ასევე 2 ბენეფიციარის (ჩართული იყო 49 998 პირი) სადაზღვევო პრემიის (შენატანის) ეკონომიამ შეადგინა 6 790 ლარი, რაც ექვემდებარებოდა შემცირებას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2008 წლის მიზნობრივი პროგრამების ღირებულება განისაზღვრა 3 491 796 ლარის ოდენობით.

კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა
1	ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები	2 699 279,00
	ამბულატორიული დახმარების პროგრამა	898 668
82	მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომპონენტი	800 000
94	ამბულატორული დახმარების პროგრამაში მონაწილე ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი (მაღალმთიანი რაიონები)	98 668
	სტაციონარული დახმარების პროგრამა	1 786 811,00
103	უმწეოთა სამედიცინო დახმარების (დაზღვევის) კომპონენტი	965 211,00
88	რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი	700 000
217	ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი	121 600
	ექიმთა გადამზადებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის პროგრამა	13 800
92	ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი	13 800
2	სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამები	256 992
87	სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი	256 992
3	სოციალური დაცვის პროგრამები	535 525
	სოციალური დახმარების პროგრამა	335 275
98	100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი	21 900
166	მარტოხელა დედებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი დახმარების კომპონენტი	96 375
238	სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის თანადაფინასების პროგრამა	39 000

239	თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	178 000
	შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა	200 250
101	სმენადაქვეითებულთათვის სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი	200 250
	სულ ჯამი	3 491 796,00

2008 წლის 12 თვეში მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში დამტკიცებული გეგმა შეადგენს 3 491 796 ლარს, შესრულებულია 3 463 149 ლარის სამუშაო, საკასო ხარჯმა შეადგინა 3 463 149 ლარი, გადახრა შეადგენს 28 647 ლარს. (იხ. ცხრილი).

№	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2008 წლის 12 თვის დამტკიცებული გეგმა	2008 წლის 12 თვის შესრულება	2008 წლის 12 თვის საკასო ხარჯი	გადახრა (გეგმა-დაფინანსება)
	მიზნობრივი პროგრამები	3 491 796	3 463 149	3 463 149	28 647
1	ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები	2 699 279	2 671 423	2 671 423	27 856
2	სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამები	256 992	256 216	256 216	776
3	სოციალური დაცვის პროგრამები	535 525	535 509	535 509	16

1. ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმთა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები



1.1.1 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომპონენტი (800 000 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენს 800 000 ლარს.

კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურეობის უწყვეტობის მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შუამდგომლობის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსაგან მიღებული თანხმობით (წერილი №2/3-0075 11 იანვარი. 2008 წ.) სატენდერო პროცედურების დამთავრებამდე შესყიდვა განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით. აღნიშნულ მომსახურებაზე 2008 წლის 17 იანვარს გაფორმდა დროებითი ხელშეკრულება 005/ე.პ.მ. შ.პ.ს. „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოსთან“ – 124 250 ლარზე.

კომპონენტის შესყიდვა განხორციელდა ღია ორეტაპიანი ტენდერით.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში”, 2008 წლის 23 იანვარს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა შ.პ.ს. „ქ. ბათუმის რესპუბლიკურმა კლინიკურმა საავადმყოფო”-მ და ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-მა. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემები წარდგენილი იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საექსპერტო კომისიაში, საიდანაც მიღებული იქნა დადებითი დასკვნა. 2008 წლის 21 მარტს სამინისტროს სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, საექსპერტო კომისიის დასკვნა და ცნო გამარჯვებულად – შ.პ.ს. „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“.

2008 წლის 28 მარტს შ.პ.ს. „ქ.ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფო”-სთან გაფორმდა ხელშეკრულება №003/ღ.ტ. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომპონენტით განსაზღვრულ მომსახურებაზე. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 375 750 (სამასსამოცდათხუთმეტიათას შვიდასორმოცდაათ) ლარს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2008 წლის 28 მარტიდან 31 დეკემბრამდე.

2008 წლის 20 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის №23 განკარგულებით შეტანილი იქნა ცვლილება მოსახლეობის ინდივიდუალური დახმარების კომპონენტში და მოსარგებლეთა კატეგორიას დაემატა თვითმმართველ ქ. ბათუმის მერიისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების შუამდგომლობით იმ ოჯახების წევრები, რომლებიც ეკონომიური მდგომარეობის გამო საჭიროებენ მკურნალობისათვის ფინანსურ დახმარებას.

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების „მიმწოდებელი” (შ.პ.ს. “ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო”) გადაწყვეტილებას ღებულობდა კომისიური წესით. კომისია დაკომპლექტებული იყო „მიმწოდებლის”, სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებით. კომპონენტით მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა ხდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 14 იანვრის №08/ო ბრძანებით დამტკიცებული „2008 წლის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ორგანიზაციისა და დაფინანსების ღებულების დამტკიცების შესახებ”. დახმარების მისაღებად მოქალაქეები განცხადებით მიმართავდნენ სამინისტროს ან შ.პ.ს. “ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს” ადმინისტრაციას. განცხადებები თანდართული საბუთებით განიხილებოდა ინდივიდუალური დახმარების კომისიის სხდომაზე, რომელიც ღებულობდა გადაწყვეტილებას დახმარებისა და მისი მოცულობის შესახებ.

მოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გამო კომპონენტის ბიუჯეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დროს 2008 წლის 2 ივლისს გაიზარდა 100 000 ლარით.

კომპონენტის შესყიდვა განხორციელდა ღია ორეტაპიანი ტენდერით.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში'', 2008 წლის 24 ივლისს. სატენდერო დოკუმენტაცია შეფასებულ იქნა 19 სექტემბერს და 24 სექტემბერს გამარჯვებულ პრეტენდენტთან სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი L Internatitinal"-თან გაფორმდა №006/ღ.ტ. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 100 000 ლარს.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა გამოყოფილი თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა. კომპონენტის ბიუჯეტი 2008 წლის 8 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დროს გაიზარდა 200 000 ლარით.

კომპონენტის შესყიდვა განხორციელდა ღია ორეტაპიანი ტენდერით.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი L Internatitinal"-თან გაფორმდა №007/ღ.ტ. ხელშეკრულება. სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 200 000 ლარს.

დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად ინდივიდუალური დახმარების კომისიის სხდომა იმართებოდა თვეში ერთხელ, საჭიროებისას უფრო ხშირად, მაგრამ არაუმეტეს 3 სხდომისა თვეში.

2008 წლის 12 თვის განმავლობაში გაიმართა ინდივიდუალური დახმარების კომისიის 23 სხდომა. სხდომებზე განხილული იქნა 1 035 განცხადება. 867 მოქალაქის დახმარების საკითხი დადებითად გადაწყდა მათ შორის 23 დიალიზით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის.

გაწეული სამედიცინო დახმარება რაიონების მიხედვით: ქ. ბათუმის მცხოვრები – 373;
ხელვაჩაურის რაიონის მცხოვრები – 85;
ქობულეთის რაიონის მცხოვრები – 132;
ქედის რაიონის მცხოვრები – 35;
შუახევის რაიონის მცხოვრები – 25;
ხულოს რაიონის მცხოვრები – 24.

სამედიცინო დახმარება სახეების მიხედვით:
სტაციონარული სამედიცინო დახმარება – 622;
დიალიზის სეანსებით მკურნალობა – 32;
მედიკამენტოზური დახმარება – 2;
მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები – 18.

სულ მკურნალობა ჩაუტარდა 674 პაციენტს.

674 მოქალაქის სამედიცინო მომსახურებისათვის გაიხარჯა 753 191 ლარი, კომისიის შრომის ანაზღაურებისა და სხვა ხარჯებისათვის – 20 002 ლარი.

დასახელება	12 თვეში				
	გეგმა	შესრულ.	დაფინან	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
შპს "ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო"	500 000	495 175	495 175	4 825	99,0
სს საერთაშორისო სადაზღვეო კომპანია "იმედი L Internatitinal"	100 000	91 694	91 694	8 306	91,7
სს საერთაშორისო სადაზღვეო კომპანია "იმედი L Internatitinal"	200 000	186 323	186 323	13 677	0,0
სულ	**800 000**	**773 193**	**773 193**	**26 807**	**96,6**

გაწეული ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული დახმარება	ზომის ერთეული	ერთეულის საშუალო ფასი	მკურნალობა ჩაუტარდა (რაოდენობა)	სულ ღონისძიების ხარჯი	ხარჯის წილი მიმდინარე ხარჯებთან (%)
2008 წელი						
1,1	**სამედიცინო ხარჯები, მათ შორის:**	**ლარი**	**1 117,49**	**674**	**753 191**	**97,41**
	სტაციონარული მკურნალობა	ლარი	1 043,48	622	649 046	83,94
	გამოკვლევები	ლარი	598,50	18	10 773	1,39
	მედიკამენტოზური დახმარება	ლარი	2 226,00	2	4 452	0,58
	დიალიზით მკურნალობა	ლარი	2 778,75	32	88 920	11,50
1,2	**სამედიცინო კომისიის ხელფასი**	**ლარი**			**14 000**	**1,81**
1,3	**მივლინება**	**ლარი**			**3 420**	**0,44**
1,4	**სამედიცინო კომისიის ოფისის ხარჯები**	**ლარი**			**2 582**	**0,33**
ჯამი		**0**		**674**	**773 193**	**100,00**



1.1.2 ამბულატორიული დახმარების პროგრამაში მონაწილე ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების კომპონენტი (მაღალმთიანი რაიონები) (98 668 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 122 110 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დროს კომპონენტის ბიუჯეტი შემცირდა 23 442 ლარით და შეადგინა 98 668 ლარი.

კომპონენტით გათვალისწინებული იყო მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ქსელში საექიმო ამბულატორიებსა და პოლიკლინიკებში დასაქმებული 42 ოჯახის ექიმისა და ზოგადი პროფილის ექიმის დამატებითი შრომის ანაზღაურება, რომლებიც ემსახურებოდა სოფლის მოსახლეობას და მონაწილეობდნენ ამბულატორიული დახმარების „ფედერალურ" პროგრამაში.

კომპონენტი მიზნად ისახავდა მატერიალური სტიმულირების გზით მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სოფლის საექიმო ამბულატორიებში ექიმების მოზიდვასა და დამაგრებას, რაც წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა.

ხელშეკრულება (ერთ პირთან მოლაპარაკება) გაფორმდა:

შ.პ.ს„ ხულოს რაიონული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანებასთან" 2008 წლის 18 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 33 664,25 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2008 წლის 31 დეკემბრამდე;

შ.პ.ს„შუახევის რაიონულ პოლიკლინიკასთან" 2008 წლის 18 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 29 305,75 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2008 წლის 31 დეკემბრამდე;

შ.პ.ს„ქედის რაიონულ პოლიკლინიკასთან" 2008 წლის 18 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 32 448.60 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2008 წლის 31 დეკემბრამდე;

შ.პ.ს„ ხელვაჩაურის რაიონული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანებასთან” 2008 წლის 18 იანვარს, სახელშეკრულებო თანხა 3 249,40 ლარი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2008 წლის 31 დეკემბრამდე;

ერთი ექიმის სახელფასო ფონდი შეადგენს საექიმო ამბულატორიაში 270 ლარს, რაიონულ პოლიკლინიკაში 135 ლარს.

მაღალმთიანი რაიონების ამბულატორიებში სამედიცინო ბრიგადების რაოდენობა გათვლილია “მოსახლეობის (მ/შ მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის) ამბულატორიული დახმარების” კომპონენტით დადგენილი ნორმატივებით.

კომპონენტი გათვლილი იყო 42 ექიმზე, 34 ექიმი ეწეოდა პრაქტიკულ საქმიანობას, ვაკანტური იყო 8 ექიმის თანამდებობა.

საანგარიშო პერიოდში საექიმო ამბულატორიებში ექიმთან ვიზიტების რაოდენობამ შედგინა 24 972, აქედან ხულოს რაიონში 3 581, შუახევის რაიონში 7 548, ქედის რაიონში 12 016, ხელვაჩაურის რაიონში 1 827.

დასახელება	12 თვეში					
	გეგმა	შესრულ.	დაფინან	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
შპს "ხელვაჩაურის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება"	3 249,40	3 249,40	3 249,40	1 827,00	0,00	*100,0*
შპს "ქედის რაიონული პოლიკლინიკა"	32 448,60	32 448,60	32 448,60	12 016,00	0,00	*100,0*
შპს "შუახევის რაიონული პოლიკლინიკა"	29 305,75	29 305,75	29 305,75	7 548,00	0,00	*100,0*
შპს "ხულოს რაიონული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება"	33 664,25	33 664,25	33 664,25	3 581,00	0,00	*100,0*
სულ	**98 668**	**98 668**	**98 668**	**24 972**	**0**	**100,0**



1.2 სტაციონარული დახმარების პროგრამა

1.2.1 უმწეოთა სამედიცინო დახმარების (დაზღვევის) კომპონენტი (965 211 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 1 080 000 ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დროს კომპონენტის ბიუჯეტი 2008 წლის 2 ივლისს შემცირდა 108 000 ლარით, 23 დეკემბერს – 6 790 ლარით და შეადგინა 965 211 ლარი.

უმწეოთა სამედიცინო დახმარების (დაზღვევის) კომპონენტი დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2008 წლის 20 მარტის №24 განკარგულებით. მოქმედებაში შევიდა 20 მარტს.

კომპონენტის შესყიდვა განხორციელდა ღია საერთაშორისო ტენდერით.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა,

ს.ს. „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბი სი აი“-მ და ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი “-მა.

სატენდერო დოკუმენტაციის გახსნა მოხდა 2008 წლის 22 აპრილს.

ს.ს. „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბი სი აი“ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-15 მუხლის, მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება არ იქნა დაშვებული შეფასებისათვის.

ს.ს. საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი ლ“-ის სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიამ შეაფასა 2008 წლის 24 აპრილს და ცნო გამარჯვებულად. 2008 წლის 29 აპრილს მასთან გაფორმებული ხელშეკრულება №004/ღ.ტ.

დაზღვეულთათვის სამედიცინო მომსახურების მოწოდება დაიწყო 2008 წლის 1 მაისიდან. პარალელურად მიმდინარეობდა კომპონენტის ბენეფიციარებისათვის სადაზღვევო სერთიფიკატების პოლისების დარიგება, რომელიც ხელშეკრულების თანახმად დასრულდა 2008 წლის 15 ივნისს.

1 მაისიდან სამედიცინო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენდა 48 609 ბენეფიციარს. 2008 წლის 26 ივნისს კომპონენტში დამატებით ჩართული იქნა 1 389 ბენეფიციარი, რომელთა სახელობითი სიები მოწოდებული იქნა ს.ს.ი.პ. „სოციალური სუბსიდიების სააგენტოდან“. სულ 2008 წლის 1 ივლისიდან კომპონენტით სარგებლობდა 49 998 ბენეფიციარი.

სამედინო მომსახურება გაეწია 37 026 დაზღვეულს, მათ შორის:

გადაუდებელი ამბულატორიული დახმარება მიიღო 731 პირმა,

გადაუდებელი ჰოსპიტალური მკურნალობა – 134-მა,

გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება – 419-მა,

ამბულატორიული გამოკვლევები ჩაუტარდა – 4268-ს,

დაიფარა 557 პიროვნების სახელმწიფო (ფედერალური) ჯანდაცვის პროგრამებით და 6 – ადგილობრივი ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული თანაგადახდა,

დამატებითი მომსახურებით ისარგებლა 155-მა დაზღვეულმა.

პირადი ექიმის მომსახურეობა გაეწია 30 756 დაზღვეულს.

ასევე 24 საათიანი საკონსულტაციო მომსახურებით ისარგებლა 2 558 დაზღვეულმა.

დასახელება	12 თვეში					
	გეგმა	შესრულ.	დაფინან	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
სს საერთაშორისო სადაზღვეო კომპანია "იმედი L Internatitinal"	965 211	965 211	965 211	37 026	0	*100,0*
სულ	**965 211**	**965 211**	**965 211**	**37 026**	**0**	***100,0***



1.2.2 რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტი (700 000 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენს 700 000 ლარს.

კომპონენტის შესყიდვა განხორციელდა ღია ორეტაპიანი საერთაშორისო ტენდერით.

სატენდერო პროცედურების დასრულებამდე პაციენტებისათვის კარდიოქირურგიული დახმარების უწყვეტად მიწოდების მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით გაფორმდა ხელშეკრულება (ე.პ.მ.) შ.პ.ს. „გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან" – 175 000 ლარზე.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში" 2008 წლის 23 იანვარს. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა – შ.პ.ს. „გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრმა" ქვეკონტრაქტორთან შ.პ.ს. „ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრთან' და შ.პ.ს. „ღია გულთან" ერთად.

პრეტენდენტის და ქვეკონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები წარდგენილი იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საექსპერტო კომისიაში, საიდანაც მიღებული იქნა დადებითი დასკვნა.

2008 წლის 21 მარტს სამინისტროს სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, საექსპერტო კომისიის დასკვნა და ცნო გამარჯვებულად, შ.პ.ს. „გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი"

2008 წლის 28 მარტს შ.პ.ს„გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან" გაფორმდა ხელშეკრულება №001/ღტ. მოსახლეობის კარდიოლოგიურ მომახურებაზე. სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 525 285 ლარი.

პაციენტების კომპონენტით განაზღვრულ კარდიოქირურგიულ მომსახურებაში ჩართვა ხორციელდება სამინისტროს მიერ. საანგარიშო პერიოდში კარდიოქირურგიული სამედიცინო დახმარება გაეწია 147 პაციენტს, მათ შორის:

- ბენტალის ოპერაცია – 1-ს;
- იშემიური დაავადებების, გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა – 57-ს;
- ანგიოპლასტიკა – 69-ს;
- ერთი სარქვლის / აღმავალი აორტის / აორტის რკალის პროთეზირება / პლასტიკა – 14-ს;
- ორი სარქვლის და აღმავალი აორტის პროთეზირება 4-ს;
- ბიოლოგიური სარქველი – 2 პაციენტს.
- დამატებითი მომსახურების სახით 12 პაციენტს უფასოდ ჩაუტარდა კორონაროგრაფიული გამოკვლევა და 10 პაციენტს – ექიმის უფასო კონსულტაცია.

დასახელება	12 თვეში					
	გეგმა	შესრულ.	დაფინან	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
შპს "აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი"	700 000	698 966	698 966	147	1 034	99,85
სულ	**700 000**	**698 966**	**698 966**	**147**	**1 034**	99,85



1.2.3 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების კომპონენტი (121 600 ლარი).

კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენს 121 600 ლარს.

კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა განხორციელდა ღია ორეტაპიანი ტენდერის მეშვეობით. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათ"-ში 2008 წლის 23 იანვარს.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შ.პ.ს. „აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრმა".

პრეტენდენტის პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარდგენილი იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საექსპერტო კომისიაში, საიდანაც მიღებულია დადებითი დასკვნა.

2008 წლის 21 მარტს სამინისტროს სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, საექსპერტო კომისიის დასკვნა და გამარჯვებულად ცნო შ.პ.ს. „აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრი".

2008 წლის 28 მარტს შ.პ.ს. „აჭარის ა.რ. ონკოლოგიის ცენტრთან" გაფორმდა ხელშეკრულება №002/ღ.ტ. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური დახმარების შესყიდვაზე. სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 121 586.

პალიატიული სამედიცინო დახმარება სტაციონარში გაეწია 140 პაციენტს, ჰოსპისი ბინაზე ორგანიზებული იყო 135 პაციენტისათვის.

დასახელება	12 თვეში					
	გეგმა	შესრულება	დაფინანსება	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
შპს "აჭარის ა. რ. ონკოლოგიის ცენტრი"	121 586	121 586	121 586	259	0	*100,0*
სულ	**121 586**	**121 586**	**121 586**	**259**	**0**	**100,0**



1.3. ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების პროგრამა

1.3.1. ახალგაზრდა ექიმ-სპეციალისტთა გადამზადების კომპონენტი (13 800 ლარი)

კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 13 800 ლარით.

კომპონენტის ფარგლებში სწავლებას გადის (სწავლების მეოთხე წელი) 6 ახალგაზრდა სპეციალისტი.

რეზიდენტურის პროგრამით: ოფთალმოლოგიაში – 1, ნევროლოგიაში – 1, კრიტიკულ მედიცინაში – 1, ოტორინოლარინგოლოგიაში – 1, ანგიოქირურგიაში – 1.

საექიმო სპეციალობის მაძიებლის პროგრამით: უროლოგიაში – 1.

2 სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამები



2.1 სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი (256 992 ლარი)

წლის დასაწყისისათვის კომპონენტის ბიუჯეტი შეადგენდა 195 850 ლარს.

კომპონენტი ითვალისწინებდა თემის სამედიცინო პუნქტების მედდების შრომის ანაზღაურებას და პუნქტების პირველადი დახმარების მედიკამენტებით მომარაგებას.

სამინისტრომ თემის სამედიცინო პუნქტების მედდების შრომის ანაზღაურებაზე ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულება გააფორმა 7 სამედიცინო დაწესებულებასთან, ხოლო თემის სამედიცინო პუნქტების პირველადი დახმარების მედიკამენტებით მომარაგებაზე – ფასთა კოტირების მეთოდით შპს "ავერსი ბათუმთან".

ფასთა კოტირებაში გამარჯვებულმა დაწესებულებამ კომპონენტით გათვალისწინებულზე 8 268 ლარით ნაკლებ ფასად შემოგვთავაზა მედიკამენტების სრული პაკეტის მოწოდება.

ასევე ეკონომია წარმოიქმნა ბანკის მომსახურებისა (968 ლარი) და სამედიცინო პუნქტში დროებითი ვაკანსიის გამო (121 ლარი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების დროს კომპონენტის ბიუჯეტი 2008 წლის 18 მარტს შემცირდა 7 735 ლარით, ხოლო 2 ივლისს (ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო) გაიზარდა 68 877 ლარით და შეადგინა 256 992 ლარი.

აღნიშნული კომპონენტით 2008 წლის 12 თვეში გეგმით გათვალისწინებული იყო 232 138 ლარი შრომის ანაზღაურებისა და საბანკო მომსახურებისათვის, დაფინანსდა 231 363 ლარით. თემის სამედიცინო პუნქტის 227 მედდის მიერ გაწეული სამედიცინო დახმარების (ვიზიტების) რაოდენობამ, როგორც სამედიცინო პუნქტში ასევე პაციენტის ბინაზე ვიზიტების რაოდენობამ შეადგინა 89 748.

მედიკამენტების შესაძენად გეგმით გათვალისწინებული იყო 24 853 ლარი, დაწესებულებებისათვის მიწოდებულია 24 853 ლარის მედიკამენტები, რაც დაფინანსდა სრულად.

დასახელება	12 თვეში					
	გეგმა	შესრულ.	დაფინან	რაოდენობა	გადახრა გეგ-დაფ	შესრულების %
შპს "ქობულეთის რაიონული საავადმყოფო"	34 466	34 405	34 405	13 970	60	*99,8*
შპს "ჩაქვის პოლიკლინიკა"	10 261	10 261	10 261	6 191	0	*100,0*
შპს "ხელვაჩაურის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება"	54 824	54 145	54 145	24 229	679	*98,8*
შპს "მახინჯაურის მრავალპროფილიანი პოლიკლინიკა"	2 056	2 056	2 056	1 920	0	*100,0*
შპს "ქედის რაიონული პოლიკლინიკა"	38 398	38 397	38 397	23 523	0	*100,0*
შპს "შუახევის რაიონული პოლიკლინიკა"	46 130	46 129	46 129	12 901	0	*100,0*
შპს "ხულოს რაიონული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება"	45 969	45 969	45 969	7 014	0	*100,0*
შპს "ავერსი ბათუმი"	24 853	24 853	24 853	0	0	*100,0*
ეკონომია	36	0	0	0	36	*0,0*
სულ	**256 992**	**256 216**	**256 216**	**89 748**	**776**	**799**



3. სოციალური დაცვის პროგრამები



3.1 სოციალური დახმარების პროგრამა

3.1.1 100წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების კომპონენტი.

კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 21 900 ლარით.

კომპონენტით გათვალისწინებულია აჭარაში მცხოვრები 100 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება. პროგრამა აქტუალური იყო იმითაც, რომ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა უმრავლესობა განიცდის ეკონომიკურ სიდუხჭირეს, კომპონენტის განხორციელებით ნაწილობრივ გაუმჯობესდებოდა მათი სოციალურ-ყოფითი მდგომარეობა. კომპონენტის ბიუჯეტი გათვლილი იყო 80 მოქალაქეზე.

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეების სახელობითი სიების დაზუსტების პროცედურა დაიწყო ჯერ საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან მასალების გამოთხოვით. მიღებული იქნა შესაბამისი სახელობითი სიები. მუნიციპალიტეტის გამგეობების სახელზე გაგზავნილი წერილების საფუძველზე მათგან 2008 წლის მარტის თვის მდგომარეობით მიღებული იქნა ბენეფიციართა პირველადი სახელობითი სიები. მიღებული მასალები გადამოწმებული იქნა გასული წლის აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა მონაცემებთან და მოსარგებლე კონტიგენტთა საქმეები მომზადებული იქნა შესაბამისი ინსპექტირებისათვის.

2008 წლის მარტ-აპრილში მუნიციპალიტეტების ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა ადგილობრივი სამსახურების წარმომადგენლების მონაწილეობით დამუშავდა, გადამოწმდა და დაზუსტდა სამინისტროში მიღებული მასალები და დაიგეგმა ერთობლივი ინსპექტირების ჩატარება, რომელიც განხორციელდა 2008 წლის მაისის თვეში. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან წარმოდგენილი იქნა აღნიშნული კონტიგენტის კომისიურად შესწავლილი და მუნიციპალიტეტების მირ დამტკიცებული სახელობითი სიები, დამოწმებული მუნიციპალიტეტების გამგებლების მიერ. ასევე ვადების დაცვით წარმოდგენილი იქნა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკების მოხსენებითი ბარათები და შემოწმების აქტები.

სიების დაზუსტების შემდეგ მოსარგებლე პირთა რაოდენობამ შეადგინა 73.

2008 წლის მაისის თვეში პროგრამით დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე კუთვნილი დახმარება გაიცა ბენეფიციარებზე საცხოვრებელი ადგილების შესაბამისად. ხანდაზმულებზე კუთვნილი დახმარება გაიცემოდა კომისიური წესით სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების გამგეობის

წარმომადგენლების მიერ. კერძოდ, ქალაქ ბათუმში დახმარება გაიცა 7 ხანდაზმულზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტში 19 ხანდაზმულზე, ხელვაჩაურში 10 ხანდაზმულზე, ქედის მუნიციპალიტეტში 12 ხანდაზმულზე, შუახევში 15 ხანდაზმულზე, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტში 10 ხანდაზმულზე.

3.1.2 მარტოხელა დედებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი დახმარების კომპონენტი

კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 96 375 ლარით.

ქვეყნაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ფონზე მკვეთრად გამოიკვეთა მოსახლეობის დიფირენცირებული ფენები, რომელთა ყოფითი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარაობა უკიდურესად მძიმე იყო და მიეკუთვნება ღატაკთა ფენას, ან შედარებით ნაკლებად მძიმე და იყვნე სიღარიბის ზღვარზე. შესაბამისად ქვეყანაში სიღარიბის აღკვეთისა და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა სახელმწიფო სოციალური დახმარებებიც. სოციალურად ერთ-ერთ დაუცველ კატეგორიას წარმოადგენდნენ მარტოხელა დედები, რომელთა დიდი ნაწილი ფაქტიურად მარჩენალისგან მიტოვებული იყო, არ გააჩნდათ ლეგარული სამუშაო, საარსებო წყარო და ფაქტიური მზრუნველი სანათესაო მხრიდან. მარტოხელა დედების ოჯახებში ბავშვები ძირითადათ სასკოლო ან უფრო ნაკლები ასაკისანი და მოკლებული იყვნენ აუცილებელ საარსებო თუ ყოფითი პრობლემების მოგვარებას.

აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალა ასეთ ოჯახებს გაწეოდათ დახმარება თითოეულს 200 ლარის ოდენობით.

დახმარებება გაეწია 479 მარტოხელა დედას თითოეულს 200 ლარის ოდენობით.

მათ შორის:

ქ. ბათუმში – 339;

ქობულეთის მუნიციპალიტეტში – 57;

ხელვაჩაურის მუნიცპალიტეტში – 64;

ქედის მუნიციპალიტეტში – 13;

შუახევის მუნიციპალიტეტში – 2;

ხულოს მუნიციპალიტეტში – 4.

3.1.3 სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის თანადაფინანსების პროგრამა – 39 000 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის №62 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლად პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომსახურეობის მიმწოდებელ 9 პჯდ ცენტრის 13 ექიმს, რომლებიც არ არიან დასაქმებული ახლად რეაბილიტირებულ/აღჭურვილ საექიმო ამბულატორიებში სოციალური დახმარების სახით გადაეცა 2000-2000 ლარი შენობის რეაბილიტაციისათვის. პროგრამის ფარგლებში, სსიპ „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ შეძენილი და პროგრამის ბენეფიციარებზე გადაცემული იქნა 4 800 ლარის ღირებულების საექიმო ამბულატორიის სტანდარტული სამედიცინო აღჭურვილობა და საოფისე ინვენტარი.

გამოყოფილი სოციალური დახმარების მოცულობით შეუძლებელი იყო საექიმო ამბულატორიების სრული რეაბილიტაცია. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამატებითი სახსრების გამოყოფა არ შეეძლო. გამოყოფილი სახსრების რაციონალურად გამოყენების და 9 საექიმო ამბულატორიის დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრების მიზნით საჭირო იყო ამბულატორიის თითოეულ ექიმზე დამატებით თანხის გამოყოფა 3 000 ლარის ოდენობით, სულ 39 000 ლარი.

2008 წლის ოქტომბერში დასრულდა ცხრავე ამბულატორიის რეაბილიტაცია და აღჭურვა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტში – 3 პჯდ (აჭარისწყალი, ახალშენის მეურნეობა და სალიბაური);

ქობულეთის მუნიციაპლიტეტში – 3 პჯდ (მუხაესტატე, ხუცუბანი და ჩაისუბანი);

შუახევის მუნიციპალიტეტი – 3 პჯდ (უჩამბა, დღვანი და ბარათაული).

3.1.4 თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა (178 000 ლარი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის დასახლებულ ადგილებში მოქმედებს თემის სამედიცინო პუნქტი. მათი არსებობა და ფუნქციონირება განპირობებულია სოფლების გეოგრაფიული მდებარეობითა და კლიმატური პირობებით. თემის სამედიცინო პუნტების მედდები ადგილებზე უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ, უწყვეტი ექიმამდელი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას რაც არსებულ პირველადი ჯანდაცვის სისტემის ერთერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ათეული წლების განმავლობაში თემის სამედიცინო პუნქტები მოკლებული იყო მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას, რის გამოც მათი მატერიალური ბაზა, მცირე გამონაკლისის გარდა, გაჩანაგდა ან იმდენად ამორტიზირებულია, რომ მათი ფუნქციონირება შეუძლებელი იყო. არ ჰქონდათ ელემენტარული აღჭურვილობა.

თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამადელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50 თსპ-ში (თითოეული მუნიციპალიტეტიდან 10-10) დასაქმებულ ექთნებს რემონტისა და აღჭურვისათვის გამოეყოთ 3 500 ლარი, დამატებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ადრე რეაბილიტირებულ 2 თსპ-ში (ქედქედი და ჩიქუნეთი) დასაქმებულ მედდას სამედიცინო და საოფისე ინვენტარის შესაძენად გამოეყოთ 1 500 ლარი.

სარეაბილიტაციო სამუშაოები და სამედიცინო და საოფისე ინვენტარით აღჭურვა დასრულებულია წინასწარ შერჩეულ 52 თსპ–ში.

3.2 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციისა პროგრამა

3.2.1 სმენადაქვეითებულთათვის სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი

კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 200 250 ლარით.

კომპონენტი დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2008 წლის 20 მარტის №24 განკარგულებით. მოქმედებაში შევიდა 20 მარტს.

კომპონენტის შესყიდვა განხორციელდა ღია ტენდერით.

სატენდერო წინადადება წარმოადგინა 1-მა პრეტენდენტმა – შ.პ.ს. „კინდ სმენა“-მ.

სატენდერო დოკუმენტაციის შეფასება მოხდა 2008 წლის 24 აპრილს.

სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად ცნო შ.პ.ს. „კინდ სმენა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება №005/ღ.ტ. ა.წ. 30 აპრილს.

მიმწოდებელმა მაისის თვეში უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 445 სმენის აპარატის, მათ შორის 110 ციფრული სმენის აპარატის მოწოდება და დაიწყო მათი ბენეფიციარებისათვის გაცემის პროცედურა.

„სმენადაქვეითებულ მოქალაქეებზე სმენის აპარატებით უზრუნველყოფის” კომპონენტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ სმენადაქვეითებულ მოქალაქეების აუდიოგამოკვლევასა და სამედიცინო ჩვენების საფუძველზე სმენის აპარატების გაცემას, გათვალისწინებულია აჭარაში მცხოვრებ 450 სმენადაქვეითებულ მოქალაქეზე. კომპონენტით მოსარგებლეთა კატეგორიას მიეკუთვნებოდენ: 18 წლამდე ბავშვები, მკვეთრი და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (I, II ჯგუფის ინვალიდები), 18-დან 60 წლამდე მოქალაქეები და ასაკით პენსიის მიმღებნი, ასევე ზომიერად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირები, დევნილები და სტიქიის შედეგად დაზარალებული პირები, რომლებმაც შესაბასი განაცხადით მიმართეს სამინისტროსა და საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს 2007-2008 წლებში.

გერმანული წარმოების სმენის აპარატი, რომლის საცალო ღირებულება შეადგენდა 445 ლარს გადაეცემოდა ბენეფიციარებს ტენდერში გამარჯვებული შპს „კინდ-სმენის”-ს მიერ.

სულ გაცემულია 450 სმენის აპარატი, მათ შორის 43 ბავშვზე. (იხ. ცხრილი)

№	მომხმარებელთა კატეგორია	მიღებული დახმარება						
		ბათუმი	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო	სულ
1	18 წლამდე ბავშვები	16	7	8	2	3	7	43
2	ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები	25	10	6	0	1	2	44
3	მკვეთრი და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (I, II ჯგუფის ინვალიდები)	43	26	39	6	5	13	132

4	18-დან 60 წლამდე მოქალაქეები და ასაკით პენსიის მიმღები, ასევე ზომიერად გამოხატული შეზღუდვის მქონე პირები	116	33	37	13	16	16	231
5	დევნილები და სტიქიის შედეგად დაზარალებული პირები	0	0	0	0	0	0	0
	სულ	**200**	**76**	**90**	**21**	**25**	**38**	**450**

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის (402 533 ლარი)

4.1 სხვადასხვა ობიექტებში კომპაქტურად ჩასახლებული, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის სუბსიდირება (46 533 ლარი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 7 მარტის №23 ბრძანების შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა ობიექტებში კომპაქტურად ჩასახლებული, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურების მიზნით გამოიყო 46 533 ლარი.

აღნიშნული თანხით დაიფარა 2008 წლის 1 თებერვლისათვის 3 993 აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქის სს”ენერგო-პრო ჯორჯიას” წინაშე არსებული დავალიანება.

4.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ერთჯერადი სამედიცინო დახმარება (270 000 ლარი)

სამინისტროს წლის განმავლობაში მომართავდა ადამიანები, რომლებიც საჭიროებდნენ სამედიცინო დახმარებას (ძირითადათ ქირურგიული მკურნალობა, ქიმიოთერაპიული მკურნალობა და სხვა), მაგრამ უსახსრობის გამო მოკლებულნი იყვნენ საშუალებას მიეღოთ საჭირო სამედიცინო მომსახურეობა, რამაც დღის წესრიგში დააყენა მათი მკურნალობის დაფინანსების საკითხი. მოსახლეობის ნაწილს გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე უკვე

ჩაიტარებული ჰქონდათ მკურნალობა სხვადახვა სამედიცინო დაწესებულებებში, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შეძლეს გაწეული მომსახურეობის ანაზღაურება, რაც შემდგომში სამოქალაქო სამართლებრივი დავის საგანი გახდებოდა და დაექვემდებარებოდა იძულებით ანაზღაურებას. აღნიშნული კიდევ უფრო გააუარესებდა მოქალაქეთა მატერიალურ მდგომარეობას.

სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკისაგან დაცვის მიზნით აჭარის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 16 მაისის №44 ბრძანებების შესაბამისად აჭარის ა. რ. 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან 235 პაციენტის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით გამოიყო 270 000 ლარი.

მკურნალობა ჩაუტარდა 234 პაციენტს, რომელთა სამედიცინო მომსახურებაზე გაიხარჯა 267 010 ლარი.

4.3 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება (86 000 ლარი)

აჭარის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 7 ივლისის №60 ბრძანებების შესაბამისად აჭარის ა. რ. 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 4500 ლარი, რომლითაც დაიფარა რუსეთის ფედერაციაში გარდაცვლილი მოქალაქის საქართველოში გადმოსვენების ხარჯები.

აჭარის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 15 სექტემბრის №89 ბრძანებების შესაბამისად აჭარის ა. რ. 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10 000 ლარი, რაც ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ სტიქიის შედეგად დაზარალებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების – წონიარისისა და ბზუბზუში მცხოვრებ 2 ოჯახს.

2008 წლის აგვისტოს თვეში საქართველოში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული აჭარის ა. რ. ტერიტორიაზე მცხოვრები სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების სახით (აჭარის ა. რ. მთავრობის თავმჯდომარის 2008 წლის 22 სექტემბრის №92 ბრძანებება) 13 დაღუპულის ოჯახს გადაეცათ 5000-5000 ლარი.

2008 წლის 11 ნოემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ს. ურეხში მდებარე სასროლეთის ტერიტორიაზე აფეთქების შედეგად დაღუპულ და დაზარალებულ არასრულწლოვანთა ოჯახებს გაეწიათ მატერიალური დახმარება 6500 ლარის ოდენობით.